ქართული ტრადიციული მუსიკის საბაკალავრო პროგრამის
შემოქმედებითი ტური

1. რეგისტრაცია შემოქმედებით კონკურსში მონაწილეობის მისაღებად

- შემოქმედებით ტურში მონაწილეობის მისაღებად, აბიტურიენტმა რეგისტრაცია უნდა გაიაროს საქართველოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.ug.edu.ge და უნდა მიუთითოს შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე რეგისტრირებული შესაბამისი პროგრამა;
- შემოქმედებით კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა რეგისტრაცია უნდა გაიარონ მითითებულ ვადებში, (ვადები გამოქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.ug.edu.ge) წინააღმდეგ შემთხვევაში აბიტურიენტები ვეღარ დარეგისტრირდებიან.

2. შემოქმედებითი ტური

- შემოქმედებით ტურზე აბიტურიენტის დასწრება სავალდებულოა.
- შემოქმედებით ტურზე აბიტურიენტები უნდა გამოცხადნენ დაწყებამდე 30 წუთით ადრე.
- ტურზე აბიტურიენტი ვალდებულია თან იქონიოს პირადობის მოწმობა.
- აბიტურიენტს ტურზე შეუძლია შეიტანოს მხოლოდ წყალი, საკანცელარიო ნივთები და ჰიგიენისთვის საჭირო პირადი მოხმარების საგნები.

3. აბიტურიენტებს ეკრძალებათ:

- შემოქმედებითი ტურის თვითნებურად დატოვება.
- მობილური ტელეფონის და აუდიო, ფოტო-ვიდეო ტექნიკის შეტანა.

- აბიტურიენტებისთვის დახმარების გაწევა ან ხელის შეშლა.
- აღნიშნული მოთხოვნების ან ეთიკის ნორმების დარღვევის სხვა შემთხვევაში, პირს, პირველ ჯერზე, მიეცემა სიტყვიერი გაფრთხილება ხოლო განმეორების შემთხვევაში, ის მოიხსნება შემოქმედებითი ტურიდან.

4. შემოქმედებითი ტურის მოთხოვნები და შეფასების კრიტერიუმები

- საგანმანთლებლო პროგრამაზე აბიტურიენტი ჩაირიცხება საუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტურის გადალახვისა და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ან საუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტურის გადალახვისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/ნ (2011 წლის 29 დეკემბერი) ბრძანების შესაბამისად.
- საუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტური გაიმართება ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე. ტურებში მონაწილე აბიტურიენტს აფასებს საგამოცდო კომისია, რომელიც დაკომპლექტებულია უნივერსიტეტის შესაბამისი მიმართულების პროფესორ-მასწავლებლებისგან (3 წევრი). არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, აბიტურიენტი გამოეთიშება კონკურსს.
- შიდასაუნივერსიტეტო შემოქმედებით ტურში აბიტურიენტმა მინიმალური ბარიერი (71 ქულა 100-დან) უნდა გადალახოს. ტური ზეპირი ფორმისაა და მისი მეშვეობით განისაზღვრება აპლიკანტის მუსიკალური მონაცემები (სიმღერის უნარი, ინტონაციური სისწორე (სიზუსტე), რიტმის შეგრძნება, მუსიკალური მეხსიერება, სხვადასხვა ხმის გააზრებისა და ვერბალური ტექსტის გარჩევის უნარი).
- პროგრამაზე ჩაბარების მსურველს მიეწოდება სიმღერა ან სიმღერის ფრაგმენტი, რომლის რამდენჯერმე მოსმენისა და გაანალიზების შედეგად (ოცდაათი (30) წუთის განმავლობაში), უნდა შეასრულოს სიმღერის ყველა ხმა.
- სასიმღერო ნიმუში იქნება მარტივი ან საშუალო სირთულის სამხმიანი სიმღერა საქართველოს მთის ან ბარის რომელიმე მუსიკალური დიალექტიდან (მაგალითისთვის შეგიძლიათ იხილოთ მოტორული ტიპის (შრომის, საფერხულო, საცეკვაო, მგზავრული), ასევე, – სახუმარო, ისტორიული შინაარსის, მოკლე სუფრული სიმღერები).
- სიმღერის ქრონომეტრაჟი – 0.20-1.00 წთ.
- მოსმენა შესაძლებელი იქნება ყურსასმენებით ან მის გარეშე (სტუდენტის არჩევით).
- საგამოცდო პროცესის გამჭვირვალობის მიზნით, შემოქმედებითი ტურის მიმდინარეობისას კეთდება ვიდეოჩანაწერი. აბიტურიენტს, სურვილის შემთხვევაში, უფლება აქვს, მისთვის არასასურველი შედეგი გაასაჩივროს და მიმართოს უნივერსიტეტის სააპელაციო კომისიას.

შეფასების კრიტერიუმები
(100 ქულა)

	ქულების ჯამი
• სტუდენტი თავისუფლად მღერის სიმღერის ნებისმიერ ხმას, სწორად ინტონირებს, კარგად გრძნობს რიტმს, უშეცდომოდ წარმოადგენს ვერბალურ ტექსტს.	91-100
• ჩამოთვლილი კომპონენტები უმნიშვნელო შეცდომებითაა წარმოდგენილი.	81-90
• ჩამოთვლილი კომპონენტები დამაკმაყოფილებლადაა წარმოდგენილი.	71-80
• აბიტურიენტი ვერ აკმაყოფილებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს	0-70

საბოლოო ქულა წარმოადგენს კომისიის თითოეული წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულს.

მისამართი: „საქართველოს უნივერსიტეტი“, თბილისი, საბურთალო, კოსტავას ქუჩა 77ა, მეშვიდე სართული, ოთახი 709.

ტელეფონი: 577 11 04 09; 595 100 595

შემოქმედებითი ტურის ჩატარების დრო: 14 ივნისი, 14 (ორი) საათი